სსიპ - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ. 50/18

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით კომისიის აპარატის დასაქმებულთა ტესტირებისა და შეფასების მომსახურების შესყიდვა
CPV 73400000

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტრუქცია გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეთათვის ---------2
2. სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების პროექტი ---------- 4
3. ხელშეკრულების დანართი № 1 ტექნიკური დავალება ---------- 8
4. ხარჯთაღრიცხვა დანართი N2 ---------- 14

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1. ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - სისტემა).
2. სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.
3. გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
4. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.
5. სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.
6. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.
7. ამ ტენდერით შესყიდვის ობიექტია დანართი 1-ში მითითებული შესყიდვის ობიექტი.
8. შესყიდვის ობიექტის სრულად მიწოდება შემსყიდველისთვის უნდა განხორციელდეს კომისის მიერ განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 2016 წლის 30 ნოემბრისა.
9. პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს შესყიდვის ობიექტის განფასებას დანართი 2-ის შესაბამისად. სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ღირებულებას. სატენდერო წინადადების ფასი სისტემაში მითითებულ უნდა იქნას დღგ-ის ჩათვლით. ამ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შედეგად დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება მოხდება კომისიის ბიუჯეტიდან, ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებაში გათვალისწინებული იქნება გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ფასი.
10. წინასწარი ანგარიშსწორების პირობები არ განიხილება.
11. მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს, რა სახითაც იგი წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადების წარდგენამდე.
12. პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:
13. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით

დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან მოითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

14. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამზ/ბოჭორმის ქ. 50/18, პირველი სართული ოთახი №2, გრიგოლ სულუხია ტელ: 399669, ელ.ფოსტა: gsulukhia@gncc.ge

ხელშეკრულება N

ქ. თბილისი 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში ,,შემსყიდველი”), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ---------- სახით და მეორეს მხრივ, ---------- (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), წარმოდგენილი მისი ---------- სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს” კანონის შესაბამისად გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად, რომელიც გამოცხადებული იყო შემსყიდველის მიერ 2016 წლის ---------- (ტენდერის კოდი № SPA ----------), დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა.

მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „შესყიდვის ობიექტი“ – ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ტექნიკური დავალება“ – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

2. სტანდარტები და ტექნიკური პარამეტრები

ხელშეკრულების შესაბამისად მიწოდებული შესყიდვის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ დავალებაში მითითებულ სტანდარტებსა და ტექნიკურ პარამეტრებს.

3. საპატენტო უფლებები

შესყიდვის ობიექტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლებების დარღვევასთან, ასევე შესყიდვის ობიექტის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

4. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შესყიდვის ობიექტის შესყიდვა, რომელიც მოიცავს დანართი 1-ში მითითებულ მომსახურებას.

5. ხელშეკრულების ღირებულება

5.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ ლარს.

5.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ხარჯს.

5.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება ხორციელდება შემსყიდველის საკუთარი სახსრებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და მიღება-ჩაბარება

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს შესაბამისი ანგარიშფატურისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ ორ დღეში.

7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

7.1. შესყიდვის ობიექტის სრულად მიწოდება უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2016 წლის 30 ნოემბრისა.

7.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) შესყიდვის ობიექტის მიწოდებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლისთვის შესყიდვის ობიექტის რირებულების გადახდა ტქნიკური დავალების შესაბამისად გაწეული მომსახურებისათვის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

ბ) უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს მომსახურების გაწევის პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.

9.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ვალდებულების შესრულება ტექნიკური დავალების შესაბამისად;

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი.

9.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს.

9.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5. მხარე ვალდებულია 11.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ ხუთი კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით

შეატყობინოს მეორე მხარეს.
11.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
12.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის ---------- და ძალაშია 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:

სსიპ ,,საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია''
კომისიის თავმჯდომარე

მისამართი: ქ. თბილისი, 0144
ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ. №50/18
საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050
სს ,,თი ბი სი ბანკი”
ბანკის კოდი: 220101830
ა/ა: GE11PB0600000000609326

დანართი N1
ტექნიკური დავალება

ინფორმაცია შესყიდვის მიზნის, პრეტენდეტნისადმი წაყენებული მინიმლური მოთხოვნებისა და შესყიდვის ობიექტის შესახებ.

თავი 1. შესყიდვის მიზანი:

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში მიმდინარე რეორგანიზაციის ფარგლებში აპარატის თანამშრომელთა ატესტაციის მიზნით, ზოგადი უნარების შესაფასებელი სტანდარტიზებული ტესტისა და მენეჯერული უნარების შესაფასებელი ტესტების შექმნის/ადაპტაციის, ადმინისტრირებისა და აპელაციის მომსახურების შესყიდვა.

თავი 2. შესყიდვის ობიექტის აღწერა
ტექნიკური დავალება:

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში მიმდინარე რეორგანიზაციის ფარგლებში დაგეგმილი ატესტაციის პირველი ეტაპის, თანამშრომელთა ზოგადი უნარებისა და მენეჯერული უნარების შეფასების, მეთოდოლოგიური და ადმინისტრაციული უზრუნველყოფა.

2.1.ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს ზოგადი უნარების შესაფასებელი სანდო და ვალიდური ინსტრუმენტის შექმნა, მენეჯერული უნარების შესაფასებლად კი ვალიდური და ადაპტირებული ინსტრუმენტის შერჩევა, ტესტების ადმინისტრირება, აპელაციის შესაძლებლობა და შედეგების შეფასება.

2.2. **მოთხოვნები ზოგადი უნარების შესაფასებელი ტესტის მიმართ**

თანამშრომელთა დასწავლის უნარისა და პროფესიული ზრდის პოტენციალის განსაზღვრის მიზნით:

2.2.1. შეიქმნას ინტელექტუალური ოპერაციების (ანალიზის, სინთეზის, განზოგადების, აბსტრაჰირების და ა.შ.) განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი უნარების გასაზომი ტესტის ორიგინალური ვარიანტი/ვარიანტები;

2.2.2. ტესტით უნდა შეფასდეს ოთხი ძირითადი უნარი: წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა, ლოგიკური მსჯელობა და რაოდენობრივი მსჯელობა. ამასთან, თითოეული უნარი უნდა შეფასდეს დამოუკიდებელი სუბტესტით.

წაკითხულის გააზრება - უნდა შეფასდეს ტექსტიდან ინფორმაციის მოპოვების, გაანალიზებისა და შეფასების უნარი: რამდენად იგებს, იაზრებს აპლიკანტი ტექსტიდან მიღებულ ინფორმაციას, შეუძლია თუ არა ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ფაქტებისა და მოსაზრებების ერთმანეთთან დაკავშირება და დასკვნის გამოტანა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვა, ტექსტის ძირითადი აზრის წვდომა.

წაკითხულის გააზრების შესაფასებლად გამოყენებული უნდა იყოს მინიმუმ 2 განსხვავებული ტექსტი. წაკითხულის გააზრების სუბტესტის შეფასების მაქსიმალური ქულა სასურველია იყოს 15.

ანალიტიკური წერა: ანალიტიკური წერის დავალებით უნდა შემოწმდეს აპლიკანტის არგუმენტირებული მსჯელობის, ქართულ ენაზე გამართული ვერბალური კომუნიკაციის უნარი. ანალიტიკური წერის დავალებები სასურველია იყოს კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე, ჰქონდეს ე.წ. „გარეგანი ვალიდობა“. ანალიტიკური წერის სუბტესტი სასურველია შედგებოდეს ორი დავალებისაგან. თითოეული დავალების შეფასების მაქსიმალური ქულა სასურველია იყოს 10.

ლოგიკური მსჯელობა: ლოგიკის დავალებებით უნდა შემოწმდეს არსებული მონაცემების (წანამძღვრების) საფუძველზე დასკვნის სწორად გამოტანისა და არგუმენტირების, აგრეთვე, გარკვეული ფაქტების ასახსნელად შემოთავაზებული ვარაუდების შეფასების უნარი. ლოგიკური მსჯელობის სუბტესტი უნდა შედგებოდეს მინიმუმ 15 არჩევითპასუხიანი დავალებისაგან და მაქსიმალური ქულა სასურველია იყოს 15.

რაოდენობრივი მსჯელობა: რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილის მეშვეობით უნდა შეფასდეს რაოდენობრივი ხასიათის პრომლებების გადაჭრის უნარი, რიცხვებით ოპერირების, აგრეთვე ცხრილის, გრაფიკის ან დიაგრამის სახით წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის უნარი. რაოდენობრივი მსჯელობის სუბტესტი უნდა შედგებოდეს მინიმუმ 20 არჩევითპასუხიანი დავალებისაგან და შესაბამისად, მაქსიმალური ქულა სასურველია იყოს 20.

2.2.3. ანალიტიკური წერის სუბტესტის გარდა, ყველა სხვა სუბტესტში არჩევით პასუხიანი დავალებები უნდა იყოს გამოყენებული. გამოცნობის ალბათობის შესამცრებლად სავარაუდო პასუხების რაოდენობა სასურველია იყოს 5.

2.2.4. ანალიტიკური წერის სუბტესტი - წერითი დავალება უნდა გასწორდეს წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემით;

2.3. მოთხოვნები მენეჯერული უნარების ტესტის მიმართ:

2.3.1 უნდა იყოს სტანდარტიზებული, სანდო და ვალიდური ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც შეფასდება მენეჯერული საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი რამდენიმე უნარი: ანალიზი, დაგეგმვა, პრიორიტეტების დასახვა და გადაწყვეტილების მიღება.

2.3.2. უნდა იყოს აპრობირებული მეთოდიკა მენეჯერთა შერჩევისა და შეფასებისთვის;

2.3.3 ტესტი უნდა ეყრდნობოდეს რეალური სამუშაოს სიტუაციის მოდელირების პრინციპსა და იყენებდეს მენეჯერული საქმიანობისთვის ტიპურ პრობლემებს აპლიკანტთა შესაფასებლად.

2.3.4. ტესტი ადაპტირებული უნდა იყოს ქართულ პოპულაციაზე;

2.3.5. ტესტური დავალებების რაოდენობა უნდა იყოს ტესტის სანდოობისათვის განმსაზღვრელი.

2.3.6. წარმოდგენილი კვლევითი მონაცემები ტესტთან დაკავშირებით უნდა ცხადყოფდნენ ტესტის მაღალ პრედიქტულ ვალიდობას.

2.4. ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენმა ტესტირების ადმინისტრირებისთვის უნდა უზრუნველყოს:

2.4.1. კომისიის აპარატის თანამშრომელთა ელექტრონული რეგისტრაცია და მათი ინფორმირება;

2.4.2. პრეზენტაცია კომისიის აპარატის თანამშრომლებისათვის: ტესტის მიზნის, ფორმატის, დროის ლიმიტის, შეფასების სპეციფიკის შესახებ არანაკლებ ერთი თვით ადრე ტესტირების ადმინისტრირებამდე;

2.4.3. ტესტის ადმინისტრირების, შეფასებისა და აპელაციის პროცესის დეტალური ინტრუქციების შექმნა და კომისიისათვის წარდგენა;

2.4.4. ტესტებისა და პასუხების ფურცლების ბეჭდვა თითოეული აპლიკანტისათვის;

2.4.5. ტესტირებების მიმდინარეობისას, კონფიდენციალობის დაცვის მიზნით, აპლიკანტთა ნაწერების კოდირება სპეციალური ბარ-კოდიანი სისტემის საშუალებით;

2.4.6. ზოგადი უნარების სამი სუბტესტის (არჩევით პასუხიანი დავალებების ფორმატი: წაკითხულის გააზრება, ლოგიკა, რაოდენობრივი მსჯელობა) შეფასება ელექტრონული გასწორების პროგრამის საშუალებით, ანონიმურობის, პროცესის ობიექტურობის და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად;

2.4.7. ანალიტიკური წერის სუბტესტის, ასევე მენეჯერული უნარების ტესტის შეფასება ორმაგი, ელექტრონული გასწორების პრინციპით (მინიმუმ ორი დამოუკიდებელი

გასწორება), შემფასებელთა სუბიექტურობის პრევენციისა და აპლიკანტთა კონფიდენციდალობის უზრუნველსაყოფად; შეფასების სქემასთან შესაბამისობის დაცვა ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად.

2.4.8. მენეჯერული უნარების ტესტის ადმინისტრირება კომისიის მიერ განსაზღვრულ დროს, კომისიის შენობაში.

2.4.9. საერთო ანგარიშის წარდგენა კომისიისთვის, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თითოეული აპლიკანტის შესახებ: პირველადი, საბოლოო, სუბტესტების მაჩვენებლების მითითებით.

2.4.10. ტესტების შინაარსის კონფიდენციალობის დაცვა.

თავი 3. ტექნიკური დავალების შედეგები:

3.1. სანდო და ვალიდური ზოგადი უნარებისა და მენეჯერული უნარების შესაფასებელი მეთოდები კომისიაში დაგეგმილი ატესტაციის პროცესისთვის;
3.2. ტესტირების ადმინისტრირება;
3.3. ნაწერების აპელაციის საშუალება;
3.4. ტესტირების შედეგების შესახებ კომისიის აპარატის თანამშრომელთათვის ინფორმაციის ინდივიდუალურად მიწოდება;
3.5. კონკურსის შედეგების შესახებ კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის საბოლოო ანგარიშის წარდგენა.

თავი 4. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტისადმი წაყენებული მინიმალური მოთხოვნები

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

4.1. პრეტენდენტი უნდა იყოს პირი, რომლის საქმიანობის სფერო მოიცავს სხვადასხვა ფორმატის სტანდარტიზებული ტესტების შექმნას, ადაპტაციასა და ადმინისტრირებას, სულ მცირე უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში.

- ამის დასადასტურებლად წარმოადგინოს აღნიშნული აქტივობების განხორციელების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სულ მცირე წელიწადში 1, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, (ტესტის შექმნისა და ადმინისტრირების კუთხით გაფორმებული ხელშეკრულებები, მიღება/ჩაბარების აქტები, ან სხვა სამართლებრივი აქტი)

4.2. პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს მის მიერ შექმნილი ან ადაპტირებული ტესტების ფსიქომეტრული ანალიზის ჩატარების გამოცდილება ტესტის კლასიკური და თანამედროვე თეორიის (IRT) გამოყენებით.

- ამის დასადასტურებლად უნდა წარმოადგინოს მის მიერ შექმნილი/ადაპტირებული ტესტების ფსიქომეტრული ანალიზის ანგარიში აღნიშული თეორიების გამოყენებით (მინიმუმ 2 ფსიქომეტრული ანალიზის ნიმუში, pdf ფორმატში, ხელმოწერილი და დასაბუთებული პრეტენდენტის

მიერ, ატვირთული დანართის სახით).

4.3. აღნიშნული ტექნიკური დავალების განხორციელების პროცესში ჩართულ პირებს - ექსპერტებს უნდა ჰქონდეთ ზოგადი უნარების, ე.წ GRE ტიპის ტესტების შექმნის, მათ შორის ტექნიკური დავალებით განსაზღვრული სუბტესტების შექმნის სულ მცირე 5 წლიანი გამოცდილება; ასევე მენეჯერული უნარების ტესტების შექმნის/ადაპტირების გამოცდილება;

- აღნიშნულის დასადასტურებლად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს პროექტში ჩართულ ექსპერტთა სია, მათი როლი აღნიშნულის განხორციელებისათვის. პროექტში ჩართული თითოეული პირის სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტი (რეზიუმე) და ცნობა სამუშაო ადგილიდან, ან ოფიციალური შრომის წიგნაკი, რომელიც დაასტურებს ექპერტთა რელევანტურობას უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში;

4.4. პროექტს უნდა ჰყავდეს პროექტის კოორდინატორი, რომელსაც აქვს ტესტის შექმნის, ასევე ტესტირების ადმინისტრაციული საკითხების მოგვარების გამოცდილება;

- აღნიშნულის დასადასტურებლად უნდა წარმოადგინოს რეზიუმე და ცნობა სამუშაო ადგილიდან, რომელიც დაადასტურებს მის როგორც ექსპერტულ, ასევე ადმინისტრაციულ როლს.

4.5. პრეტენდეტს უნდა ჰქოდეს ერთდროულად 100 აპლიკანტის ტესტირების ადმინისტრირებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (სივრცე, ელექტრონული მხარდაჭერა, ადამიანური რესურსის მხარდაჭერა ტესტირების პროცესის მეთვალყურეობის კუთხით და აშ).

- აღნიშნული წარმოდგენილი უნდა იყოს პროექტში, ასევე მიუთითოს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში სულ მცირე 2 მსგავსი პროექტის განხორციელების გამოცდილება - მიღება/ჩაბარების აქტის, ხელშეკრულების ან სხვა დოკუმენტის სახით.

4.6. პრეტენდენტს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში პერსონალის შერჩევის ან ატესტაციის სფეროში განხორციელებული უნდა ჰქონდეს სულ მცირე 3 პროექტი საქართველოს სახელმწიფო და საჯარო სამსახურებისათვის;

- აღნიშნულის დასადასტურებლად წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია პროექტისა და დამკვეთის მითითიებით, დადასტურებული გაფორმებული ხელშეკრულებების ასლებით, ან მიღება/ჩაბარების აქტებით.

4.7. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს დანერგილი უნდა ჰქონდეს შეფასების მიუკერძოებელი და გამჭვირვალე სისტემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პირადი ინფორმაციის სრული დაცვით, სპეციალური საძიებო სისტემის დახმარებით ტესტის და ტესტის შეფასების სქემის, ასევე კანდიდატების მიერ შესრულებული ნაშრომისა და ამ ნაშრომის შეფასების ხელმისაწვდომობა.

- აღნიშნული სისტემის დეტალური აღწერა უნდა წარადგინოს ამ ტენდერის ფარგლებში წარმოსადგენ პროექტში (აღნიშნული სისტემის მოკლე აღწერა, აღნიშნული სისტემის გამოყენების შემთხვევები, აღნიშნული სისტემით განხორციელებული პროექტები).

4.8. სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს პროექტის სახით, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი აღნიშნული ტექნიკური დავალების 2.2; 2.3 და 2.4 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

- სატენდერო წინადადებას/პროექტს თან უნდა დაურთოს გასაწევი მომსახურების თაობაზე დეტალური ხარჯთაღრიცხვა დანართი N2-ის შესაბამისად.

4.9. წინამდებარე ტენდერის მიზნებისთვის, შესასყიდი მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე, რეორგანიზაციის მიზნით საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში სამუშაოს მიუკერძოებლად და ობიექტურად შესასრულებლად, პრეტენდენტი და მის მიერ წარმოდგენილ ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი/წევრები არ უნდა იყვნენ პირები, რომელთაც აქვთ ინტერესთა კონფლიქტი:

- o არ უნდა იყოს შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომელი ან ყოფილი თანამშრომელი,
- o პრეტენდენტს და მის მიერ წარმოდგენილ ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელს/წევრებს შემსყიდველი ორგანზიაციის თანამშრომლებთან აქვთ ისეთი ურთიერთობა, რომლის დროს ფიზიკური პირი თანამდებობრივად ექვემდებარება სხვა ფიზიკურ პირს, პირები არიან ერთი საწარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები), თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20 პროცენტია, პირები არიან ნათესავები და სხვ.
- o ამ ტენდერის მიზნებისთვის ფიზიკური პირის ნათესავებად ითვლებიან:
- o ა) ნათესავების პირველი შტო: მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა;
- o ბ) ნათესავების მეორე შტო: პირველი შტოს თითოეული ნათესავის მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა, გარდა იმ ფიზიკური პირისა, რომელიც უკვე მიეკუთვნა პირველ შტოს;
- o გ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი მეურვეობის შედეგად ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, როგორც მშობლები და შვილები.

4.11. კვალიფიკაციის თაობაზე ყველა ზემოთმოთხოვნილი ინფორმაცია დადასტურებული უნდა იყოს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებით, მასზე თანდართული დოკუმენტებით;

დანართი N2 ხარჯთაღრიცხვა

N	მომსახურების დასახელება	ღირებულება	მომსახურების გაწევის ვადა	შენიშვნა
1				
2				

3				
4				
5				
6	საერთო ღირებულება			

პრეტენდენტის ხელმოწერა

_____